ვიქტორინა 2014–2015

შესარჩევი ტურის შესახებ

2014 წლის 30 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა „ვიქტორინა-2014–2015“-ის შესარჩევი ტური X-XII კლასების მოსწავლეებისთვის. ვიქტორინაში, რომელიც ტარდება გუნდური პრინციპით, მონაწილეობა მიიღო თბილისის და საქართველოს რეგიონების საჯარო და კერძო სკოლების 84 გუნდმა. მოსწავლეებმა პასუხი გაცეს 18 შეკითხვას. აქედან. 3–3 შეკითხვა იყო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგებიდან (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და გეოგრაფია), ხოლო 3 შეკითხვა – თსუ შესახებ.

ვიქტორინის მიმდინარეობის დროს რექტორის მრჩეველი ქალბატონი მარინა ლომოური ესაუბრა სკოლის პედაგოგებს თსუ–ში მოქმედი სასწავლო და გაცვლითი პროგრამების, თსუ საბავშვო უნივერსიტეტის აქტივობებისა და ზოგადად უნივერსიტეტის ცხოვრების შესახებ.

შესარჩევი ტურის შედეგების გამოცხადებამდე, თსუ სააქტო დარბაზში მოსწავლეებმა და პედაგოგებმა მოისმინეს ინფორმაცია ახალი ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების შესახებ, რომლებიც განხორციელდება თსუ–ში ათასწლეულის გამოწვევის მეორე კომპაქტით, საქართველოს მთავრობის და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო მხადაჭერით 2015–2016 სასწავლო წლიდან და რომლის კურსდამთავრებულებიც მიიღებენ, როგორც თსუ ბაკალავრის, ასევე სან–დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომს. ახალი საბაკალავრო პროგრამები დამსწრე საზოგადოებას გააცნო სანდიეგო – საქართველო ფაკულტეტის დეკანმა დოქტორმა კენ უოლშმა.

ვიქტორინის შედეგები მონაწილეებს და მათ გულშემატკივრებს გააცნო თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა რამაზ ბოჭორიშვილმა.

შესარჩევ ტურში მონაწილე 84 გუნდიდან, 27 გუნდი გადავიდა ნახევარფინალურ ტურში, რომელიც გაიმართება 2015 წლის 28 თებერვალს.

ვიქტორინის მიმდინარეობა გააშუქა რეგიონალურმა ტელევიზიამ ''იმერვიზია''